<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორას მიენიჭოს მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქიქიკო ბენდელიანის გორას ქუჩა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011762164744022

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 194322 **16 / ნოემბერი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს
ასლი: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს (საქალაქო სამსახურის უფროსი)
ლევან ნაროუშვილს

ქალბატონო ნინო,

2022 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა თქვენი N 14-01220893773 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 113294/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია მომართვაზე წარმოდგენილ დანართში მითითებულ ქუჩებზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩებზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრის ძალაში არსებული მონაცემების თანახმად, ქალაქ თბილისში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ჭიჭიკო ბენდელიანის გორა“ და „ქალაქი თბილისი, ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხი“.

დანართის სახით გიგზავნით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების ამსახველ სიტუაციურ რუკას. საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია - „ჭიჭიკო ბენდელიანის გორა“ წარმოადგენს თუ არა გეოგრაფიული ობიექტის მოქმედ სახელწოდებას. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ გეოგრაფიული ობიექტის „ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხის“ დასაწყისი და დასასრული მართებულად არის თუ არა რეგისტრირებული სამისამართო რეესტრში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე და მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01223612525**
თარიღი: **27/12/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 08.12.2022 წლის #03-032234254 (08.12.2022წ. #14-01223423032-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მარინე იაშვილი

(1932—2012)

ქართველი მევიოლინე, საქართველოს სახალხო არტისტი (1967), ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1975). ლუარსაბ იაშვილის შვილი და მოწაფე.

დაიბადა თბილიში 1932 წელს. დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია 1958 წელს. 1958 წელს მიიწვიეს მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგად; 1960–1966წწ. მუშაობდა მოსკოვის კონსერვატორიაში მოსტრასის ასისტენტად; 1966–1975წწ. თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი; 1967–1973წწ. საქართველოს ფილარმონიის კამერული ორკესტრის სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი; 1975–1980წწ. იუგოსლავიის მუსიკალური აკადემიის პროფესორი, სავიოლინო კათედრის გამგე, 1980 წლიდან მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი; მარინე იაშვილმა პირველი დიდი გამარჯვება 1949 წელს, პრაღაში, კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა. ამ კონკურსმა გაუთქვა სახელი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის მევიოლინეს, რომელიც საერთაშორისო კონკურსის პირველი ლაურეატი გახდა როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის მასშტაბით; ხშირად მართავდა კონცერტებს საზღვარგარეთ; საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული: იან კუბელიკის სახელობის კონკურსი (1949, პრაღა), ჰენრიკ ვენიავსკის სახელობის მევიოლინეთა კონკურსი (1952, პოზნანი), ელისაბედის სახელობის კონკურსი (1955, ბრიუსელი). იყო ქართული სავიოლინო ნაწარმოებთა დიდი პროპაგანდისტი.

1967 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება; 1975 წელს დაჯილდოვდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით; 1996 წელს გახდა

ღირსების ორდენის კავალერი; 1996 -წელს მიენიჭა პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწის ტიტული; 2003 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.